<u>წმიდათა ნაკვალევზე</u>

<u>ღვთაების მონასტერი</u>

“ღვთისათვის ყველაზე ძვირფასი ძღვენი ბოროტებისაგან განწმენდილი ჩვენი გულია; ყველაზე დიდი სიხარული – ლოცვითა და მარხვით განზავებული კეთილი საქმენი”. უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ეს სიტყვები დიდი ხანია რაც გახდა ჩვენი მომლოცველთა ჯგუფის უპირველეს მოწოდებად, ჯგუფისა, რომელიც 2006 წლის 1 ივლისს, ალიონზე,

დაადგა ღვთაების მონასტრისკენ მიმავალ გზას. შევიკრიბეთ სულ 8 კაცი: ალექსანდრე კოკოზაშვილი, ზურაბ ჩოქური, გიორგი ნოზაძე, ზაზა ჩადუნელი, ჯაბა ტაბატაძე, გიორგი წიქარიშვილი, 14 წლის ვახტანგ ბუჯიაშვილი და თქვენი მონა-მორჩილი. მარშრუტი ასეთი იყო: სართიჭალა-ახალსოფელი-მარტყოფი-ნორიო-ღვთაების მონასტერი. გზად მოვილოცეთ მარტყოფთან ახლოს, მთაზე მდებარე აპარანის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც შესანიშნავად არის მოვლილი. თითქმის ყველა მთაზე ჯვრებია აღმართული, რაც მნახველს უქმნის შთაბეჭდილებას, რომ ის მართლმადიდებელ სამყაროში იმყოფება. ხალხიც სხვანაირია, როდესაც შეიტყობდნენ, რომ მონასტრის მოსალოცად მივდიოდით, გაცისკროვნებული სახეებით გვხდებოდნენ და გზას გვილოცავდნენ.

დღის მეორე ნახევარში, დაახლოებით თექვსმეტ საათზე, ავედით ღვთაების მონასტერში. ჩვენს წინ გადაიშალა ენით აუწერელი სილამაზე. ვისაც არ უნახავს ღმერთის ეს სავანე, მისთვის ყოველთვის ძნელი იქნება მართლმადიდებლობაზე საუბარი.

ღვთაების მონასტერი მდებარეობს აკრიან (კლდიანი, კლდოვანი) მთაზე, “.....ანტონი წავიდა განსამარტოვებლად აკრიანის მთაზედ, რომელიც უტეხის და გაუვალის ტყით იყო დაფარული.....” მოგვითხრობს ეპისკოპოსი კირიონი.

ღირსი მამა ანტონი იოანე ზედაზნელის მოწაფე, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა VI საუკუნეში. იგი ერთ-ერთი იყო იმ ცამეტ ასურელ მამათგან, რომლებიც ჩამოვიდნენ საქართველოში ქრისტიანობის გადასარჩენად. მამა ანტონმა იეროპოლიდან თან ჩამოიტანა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი (კეცისა). ეს ხატი დღესაც მონასტერშია და უხილავად და ხილულად საწაულმოქმედებს. ამ ხატის პატივსაცემად მამა ანტონის მიერ დაარსებულ მონასტერს ღვთაების სავანე ეწოდა.

ღირსი მამა ანტონი (მესვეტე) დაკრძალულია ღვთაების სავანის მთავარ ტაძარში. მის საფლავთან რწმენით მისულნი იღებენ ნუგეშსა და კურნებას, ხოლო მისი საფლავის კანდელის ზეთი სამკურნალოა.



საუკუნეების სიღრმიდან მოყოლებული, ღვთაების მონასტერმა ბევრი ჭირ-ვარამი გამოიარა. ჩვენს ქვეყანაში კომუნისტების მოსვლის შემდეგ დიდი ხნით ჩამოწვა წყვდიადი. რუსულმა ბიუროკრატიამ ბოლშევიკური ნიღაბი მოირგო და ვითომ "ახალი საზოგადოების" შენებას შეუდგა. ავანტურისტი კოსმოპოლიტებისაგან გაბრიყვებულმა "კომსომოლებმა" ისტორიულ წარსულს, ყოველივე ეროვნულს ძირფესვიანად ამოძირკვა დაუწყეს. არც ღვთაების სამონასტრო კომპლექსის ბებერი კედლები მოასვენეს ურჯულოებმა. ღმერთის სახლში თავიანთი კომკავშირული მოღვაწეობა დაიწყეს იმით, რომ 1918 წლის ზაფხულში საწოლში ტყვიით განგმირეს საქართველოს აღდგენილი ეკლესიის პირველი კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი კირიონ მეორე, რომელიც ამ მონასტერში, საპატრიარქოს საზაფხულო რეზიდენციაში, დიდ საშვილიშვილო მოღვაწეობას ეწეოდა.

მალე ამ კომპლექსში ბინა დაიდო "საქნავთის" ნორიოს კანტორამ. ერთხანს ამ წმინდა ტაძარში მილიციის სკოლა იყო მოთავსებული. მილიციელები წავიდნენ და მათ ადგილას უპატრონო ბავშვთა სკოლა-ინტერნატი შემოხიზნეს. მათ შემდეგ დიმიტროვის სახელობის ქარხანას გადაეცა საზაფხულო აგარაკად. დიმიტროველები ფინანსთა სამინისტრომ შეცვალა.... და ყველა ამ "ვაი-პატრონმა" თავისი უწმინდური ნაკვალევი ღრმად დაამჩნია მონასტერს. მაგრამ რაც ფინანსთა სამინისტრომ დამართა ტაძარს, მტერსაც კი არ უქნია (ნადირ-შაჰმა ხომ პირიქით, 200 თუმანი ანუ ორი ათასი ვერცხლის მანეთი და 200 აღმოსავლური ძვირფასი თვალი უძღვნა ღვთაების მონასტერს). მათ გადაწყვიტეს კომპლექსის ტერიტორიაზე გაეკეთებინათ ე.წ. "ბომბაუბეჟიშჩე", რის გამოც 2000 კვ. მეტრზე უზარმაზარი ორმო ამოთხარეს. დაამახინჯეს თვალწარმტაცი ბუნება და სამუდამოდ დაიკარგა აქ გამომდინარე წყაროც, (გაიხსენეთ მხატვრული ფილმი "ბაში-აჩუკი", აბდუშაჰილი რომ გადაეყრება შვლის ნუკრთან მოსეირნე პირიმზისას. სწორედ ის ლამაზი მდელო შეეწირა ადამიანთა უსურგულობას).

ღვთაების მონასტერი ჩვენი ერის უდიდესი სიწმიდეა და მას დიდი გაფრთხილება სჭირდება. იგი შედგება ღვთაების, წმინდა გიორგის, ღვთისმშობლის და ანტონ მარტომყოფელის სახელობის ტაძრებისაგან, აგრეთვე ანტონ მარტომყოფელის სვეტისაგან. ეს უკანასკნელი თვითონ წმინდა ანტონმა ააშენა თავისი ხელით და იქ მარტო მყოფმა გაატარა სიცოცხლის ბოლო თხუთმეტი წელიწადი

ამჟამად მონასტერში მოღვაწეობს ექვსი ბერი და ცხრა კაბოსანი მორჩილი.

მონასტრის წინამძღვარმა მამა ბენიამინმა დიდი სიყვარულით მიგვიღო. საღამოს ლოცვას დავესწარით. წმინდა ანტონ მარტომყოფელის საფლავიდან გადმოსულმა მადლმა და ზეთის ცხებამ ფეხზე დგომაც შეგვაძლებინა და ოცდათხუთმეტკილომეტრიანი მანძილის გავლის შედეგად მიღებული დაღლილობაც მოგვიხსნა. მიუხედავად სტუმრების სიმრავლისა, ჩვენთვის ადგილი მაინც გამოინახა. მართალია იატაკზე დაგებულ ქვეშაგებზე გვეძინა, მაგრამ ყოველივე ამას ჩვენთვის ხელი ოდნავაც არ შეუშლია იმ სიხარულის გაზიარებაში, რაც მონასტერში ყოფნის დროს განვიცადეთ.



მეორე დღეს ზიარების წინა ლოცვები დილის შვიდ საათზე დაიწყო. შემდეგ მამა ბიძინამ ჩაატარა წირვა. გიორგი, ზურაბი, ზაზა და მე ვეზიარეთ. ტრაპეზობის შემდეგ გავემართეთ მამა ანტონის სვეტისაკენ. მოვილოცეთ ეს დიდი სიწმიდე და თორმეტ საათზე გეზი სართიჭალისაკენ ავიღეთ. ნორიოში მოვილოცეთ წმინდა მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, რომლის ფრესკებმა ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მარტყოფში მოვილოცეთ წმინდა მარიამ ღვთისმშობლისა და

მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიები. საღამოს შვიდ საათზე უკვე სართიჭალის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში ვიყავით. მამა შალვა დიდი სიხარულით შეგვეგება, გვატრაპეზა და მშვიდობით გაგვაცილა სახლებში.

შინ მიმავალს მამა შალვას სიტყვები გამახსენდა, მისი უკვდავი პოემიდან "დავით აღმაშენებელი", რომელიც პატრიარქის ზემოთ აღნიშნული მოწოდების გაგრძელებაა:

"ცოდვათა მონანიებით ღვთის წინ ცრემლებით ვმშვიდდებით,
ღვთით არის ჩვენი ცხოვრება, ურწმუნო ღმერთს არ ვჭირდებით
ღვთის შიშისაგან ტირილით, ცოდვებით განვიწმინდებით,
ყოველი საქმე კეთილი იწყება ღვთისა დიდებით."

იოსებ სიბოშვილი